სამშობლო

კვირა
20 სექტემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 180

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთის ფასი: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ციციაძე.

კვირას, 20 ეკენისთვეს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ანასტასია დიმიტრის ასულის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ძვირფასის განსვენებულის დები: ეკატერინე დიმიტრის ასული აბდუშელიშვილისა და სოფიო დიმიტრის ასული ჩხატარაშვილისა.

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. პანაშვიდი—12 საათზე. 1—1

ხვალ, 20 ეკენისთვეს, ქალაქის თეატრში გაიმართება

გალაკტიონ
ტაბიძის საღამო
„საქართველოს ყვავილები"

1. პაოლო იაშვილი. მოხსენება: სამშობლოს გარედ ომის დროს. პარიზი, ლონდონი, ჩრდილოეთი. იმპრესიონისტური შთაბეჭდილებანი.

2. სიკვდილი ნაპოლეონისა. დრ. ერთ მოქმედებათ. დ ჩარკვიანის, ან. მერცხლის, სარჟის და სხვების მონაწილეობით.

დასაწყისი $8^1/_2$ საათ.

3. პოეზია: (გვარები ანბანზე): ა. გაფრინდაშვილი, ელენე დარიანი, შალვა დადიანი, შოთა დადიანი, პ. იაშვილი, კატო მიქელაძე, ვარ. რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, აკაკი ფალავა.

5. მუსიკა: ქ-ნი ციციშვილი-ანდრონიკაშვილი, ბ. ვარდენ ლორთქიფანიძე.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

დაწვრილებით პროგრამებში.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
სამსონ დითეშიძის ქართული დედანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან გადაკეთდა საშუალო კერძო პროფესიონალურ სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.

მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.

მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ქ. ქუთაისი.

ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. დ საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.

თვ. 975

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ლექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზის პირდაპირ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სამკურნალო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 17 სექტემბრიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.

ღამე ანტერონის კუნძულზე, სანახაობა.

სენსაცია! სეზონის თაიგული!

ჭაბუკი გმირი.

ძლიერი დრამა უკანასკნელ ომის ამბებიდან ორ ნაწილათ. დიდი საყურადღებო სანახაობა.

პიესს ნათამაშებია ფირმის საუკეთესო არტისტებისაგან.

ვენეციური ჩულქი. მხიარული კომედია ორ ნაწილათ.

ანონსი: ორშაბათიდან 21 სექტემბრიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი გაგრძელება მილიონების ჰიპნოზის გავლენის ქვეშ. 5 და 6 სერია 5 ნაწ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

გაიხსნა 15 ენკენისთვიდან საკანდიტრო

„რეიმსი" და „გრანდ-კაფე"

ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით. 8—3

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.

ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

რუსანის ქუჩ., დიდი კაზარმების მახლობლათ

იყიდება

ოთხი თვალი აგურის შენობა სამზარეულოთი და მოწყობილობით. ეზო ზომით ასი ოთხკუთხი საჟენი. მოსალაპარაკებლათ შეიძლება მიმართოთ თეთრ ხიდთან, ბართლომე მოსეშვილის ხეტყის საწყობში. 1—1

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ოფიც. 17 ეკენ. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან. მდ. სტრიპის მარცხენა ნაპირზე გრემბოვლის სამხრეთ-დასავლეთით, დობროპოლისა და ხმელევკის რაიონში ჩვენს ცხენოსან ჯარს შეტაკებები ჰქონდა მტრის მოწინავე ჯართან. ბრძოლის შედეგების სისწორით გამორკვევამდი, შტაბმა თავი შეიკავა გამოექვეყნებია რაიმე ცნობა. დღეს კი საერთო მდგომარეობა იმდენათ გამირკვა რომ შტაბი უდროოთ არ სთვლის გამოაცხადოს, რომ უკანასკნელ ბრძოლებში მთელი რიგი წარმატებისა ჩვენს მხარეს იყო და საერთო მდგომარეობა ჩვენი ჯარის ფრონტისა საკეთილდღეოთ უნდა მივიღოთ. ჯარის სულიერი განწყობილება და აღფრთოვანება საუცხოვოა. უკანასკნელ დღეებში მომხდარი ბრძოლების დ ჩვენი წარმატების შემდეგ ჯარის აღფრთოვანება გაძლიერდა. განსაკუთრებით სვენტინ—ოშმიანის რაიონში ჩვენმა წარმატებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჯარის სულიერ განწყობილებაზე. ჯარის სულიერათ ამაღლებას არა ნაკლებ უწყობს ხელს გერმანელების სულიერათ დაცემა, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ გერმანელები სუსტ დაჭრილებს სტოვებენ ბრძოლის ველზე, ყრიან იარაღებსა და საბარგო პოვოზკებს გზებში.

მიზანშეწონილი და მოხერხებულათ შეთანხმებული მოქმედება ჩვენის მოკავშირეებისა საერთო იერიშების მიტანის დროს დასავლეთის ფრონტზე, და მათი წარმატება გერმანელებზე უფრო ღრმავებს მოკავშირეთა რწმენას ერთმანეთის სამხედრო ღირსების ძლიერებისადმი.

პეტროგრადი. ოფიც. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. მირსგოფის რაიონში მიტავის აღმოსავლეთით მდებარე რკინის გზაზე, გერმანელების მიერ მოტანილი იერიში უშედეგოთ დარჩა. გერმანელების, ჰაეროპლანებმა უშედეგოთ ყუმბარები ჩამოყარეს დვინსკის შესართავთან, რიგასა და სადგურ ოგერ-ზე. გრენზენის რაიონში, სვენტენის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, გაძლიერებულ ცეცხლის დაშენის შემდეგ, გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს თხრილებზე და რამდენიმე თხრილი წაგვართვეს. ზერსგოფის რაიონში მედმუსის ტბასა და დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით ყველგან გერმანელების იერიში მოგერებულ იქნა. ბრძოლით ავიღეთ დაბა დუნილოვიჩი, რომელიც მედძიოლის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. გერმანელები გამოდევნილ იქნენ, აგრეთვე სოფელ აჟუნიდან. სოფელ გულის რაიონში ნაროჩის ტბის ცოტა აღმოსავლეთით ჩვენ ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა ბავარიის მფარველ ქვეითა ჯარზე და ერთ ადგილას ხელში ჩაიგდო ბევრი პოვოზკა, და 70 კაცამდი ტყვეთ წამოიყვანა; მეორე ადგილას მტერს წაართვა 100 პოვოზკამდი, ცხენები, იარაღი და რამდენიმე ათეული ტყვე. ბევრი გერმანელი ამოსწყდა უკან დევნის დროს. სოფელ გატთან (ნაროჩისტბიდან სამხრეთით მდებარე რაიონში) ცხარე ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც ერთი როტა გერმანელებისა ასჩეხეს, დანარჩენი ტყვეთ წამოიყვანეს. ქვემო სერვეჩზე, ნოვოგრუდკის აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარი შეიჭრა სოფ. ქუკში და კორელიჩში. გერმანელები გაიქცენ მთავარი პოზიციებისაკენ, ყრიდენ რა იარაღსა და პატრონებს. კორელიციდან დასტოვეს 100 კაცამდი შტიკებით დაჩხვლეტილი.

მდ. სერვეჩზე, ნოვოგრუდკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელები უკუ ვაქციეთ წამოვიყვანეთ ტყვეები და სამხედრო დავლა. სამხედრო დავლის რაოდენობა თან და თან ირკვევა. ზარეჩიესა და ლენინოვშჩიდან ბარანოვიჩის სამხრეთ აღმოსავლეთით მტერი მდ. შარს იქით გავდევნეთ. შუა სტირზე სოფელ საბოროკის რაიონში (კოლკის სამხრეთ აღმოსავლეთით, გერმანელებმა წინასწარ არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი გააძლიერეს, და შემდეგ იერიში მოიტანეს ჩვენს ჯარზე.

100 ნაბიჯი არ ექნებოდათ გადმოდგმული, რომ, დიდი ზარალის მიყენების გამო, იძულებული გახდენ უწესრიგოთ გაქცეულიყვენ.

ლამანშეს რაიონში, სბორკის სამხრეთით უსასტიკესი ბრძოლა გაჩაღდა.

მოსული ცნობით, ავსტრიის ჰაეროპლანები ჩვენი მარცხენა ფრთის ზვერვის დროს რუმინეთის ტერიტორიაზე დაფრინავენ, რათა თავიდან აეცდინათ ჩვენის მხრიდან მოსალოდნელი უბედურება, სამხედრო, უფროსების მოხსენებებით, ავსტრო-გერმანელები უკანასკნელ დღეებში მდ. სტირზე მომხდარ ბრძოლის დროს ისვრიან განსაკუთრებით გასასკდომ ყუმბარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეველი. 18 სექტემბერი საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს მას სანოვაგეთა ბაერაციებისათვის 1700000 მანეთი და ამასთან დაადგინა იშამდგომლოს ერობათა დაწესებულებისათვის ესტლიანდიის გუბერნიაში და ახალი რკინის გზის ლიანდაგის დაგებისათვის.

ჟიტომირი. 18 სექტემბერი. ყოველ დღე ქალაქიდან მოდის მთელი წყება ტყვეებისა. ტყვეები იუწყებიან, რომ ჯარი სიმშილს განიცდის სანოვაგის მიუწდომლობის გამო.

ათინა. პოლიტიკურ წრეში დარწმუნებულნი არიან რომ ბულგარეთმა დაიჭირა ორ-აზროვანი პოლიტიკა ერთი მხრით შეთანხმება გერმანია ოსმალეთთან, რომ მოეხდინა მობილიზაცია, მეორე მხრით—მიეცა საშუალება გერმანიისათვის სერბიის საზღვარზე ჯარის შესაგროვებლად.

იმავე წრეში ფიქრობენ, რომ ბულგარეთის მინისტრების ეხლა ხან მომხდარი გადადგომა მაჩვენებელია მთავრობის ტენდენციისა, რომლის მიზანია დამალოს 15—20 დღის განმავლობაში თავისი გარეშე პოლიტიკის მდგომარეობა და ასეთი მანევრებით შეამციროს, მოკავშირეთა სახელმწიფოების ეჭვი იმ დრომდე, ვიდრე ბულგარეთი შესძლებს თავისი ნამდვილი პოლიტიკის გამოჩენას.

პარიზი. 17 სექტემბერი. მტერი ენერგიულად ესროდა ჩვენ ახალ პოზიციებს სუშეს აღმოსავლეთით.

შამპანში ჩვენ რამოდენიმე პუნქტზე გავმაგრდით. და წინ წავიწიეთ, მხოლოთ იძულებული ვიყავით შევშერებულიყავით იმ ძლიერი ცეცხლისა გამო, რომელსაც გერმანელები გვაფრთქვევდენ.

პარიზი 18 სექტემბერი არტში ბრძოლის შემდეგ წავსწიეთ ჩვენი თხრილები ნეველიდან აღმოსავლეთ სამხრეთით.

მდ ნარე ენის ჩრდილოეთით სუპირის ახლო მტერმა სასტიკი დემონსტრაცია მოახდინა ჩვენი თხრილების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენი ენერგიული არტილერიის სროლამ მისი იერიში შეაჩერა. აგრეთვე მტრის იერიში შევაჩერეთ შამპანში მეზონ-დე-შამპანის მიდამოში. ტყვეთ წამოვიყვანეთ 280 კაცი მათ რიცხვში 6 აფიცერი...

პარიზი. 18 სექტემბერი. ერთი სამხედრო რუსეთის წარმომადგენელი საფრანგეთში, ყოფილი მოწამე შამპანის სამხედრო მოქმედებისა პეტროგრადის სააგენტოს კორრესპოდენტს აუწყებს იმ გასაკვირალ ორგანიზაციას, რომელსაც ფრანგებს მიუღწევიათ ამ უკანასკნელ დროს, და რომელიც დიდს იმედს იძლევა მომავლისათვის დასავლეთ ფრონტზე მოკავშირეთა წარმატებისათვის. მფრინავებმა დაწვრილებით შეისწავლეს სროლის საძელმძღვანელო პუნქტები. ამავე დროს ინგლისელებმა ჯარის რიცხვიც გაადიდეს. ჯარის სულიერი მდგომარეობა მშვენიერია. ყველა ცნობა ამტკიცებს, რომ გერმანელებმა მესამე ხაზის გამაგრება ვერ მოასწრეს. ამ ორი თხრილის აღების შემდეგ ფრანგებს ბრძოლა მოუხდებათ არა თხრილებში, არამედ გაშლილ მიდორზე. იმედია ფრანგები თავიანთ მრავალ რიცხოვნებს შეინარჩუნებენ, რადგან მიუხედავათ გერმანელთა რიცხვის გაძლიერებისა, მათ დღემდე $^2/_3$ მეტი დანაკლისი ვერ შეავსეს, ამ ფრონტზე.

პეტროგრადი. 18 სექტემბერი. ბერლინიდან მიმავალ ბულგარეთის სტუდენტებს, რომელნიც ჯარში გაიწვიეს ბულგარეთის მიისსის მრჩეველმა შემდეგი სიტყვით მიმართა; „აუწყეთ ბულგარეთს, გერმანიის შემოქმედება და ნიჭი სამხედრო პოლიტიკურ თავგანწირულებისადმი“

ამ სიტყვაზე ბულგარელმა ერთმა სტუდენტმა უპასუხა: ბულგარეთი გამოდის თავისი მტრის ინგლისის წინააღმდეგ, რომელიც კედლათ უდგია სერბიას. სერბია კი არა ინგლისია დამნაშავე მსოფლიო ომში. გერმანიისათვის მახლობელნი გზა ეგიპტეში გავა ბულგარეთიდან. ბულგარეთის ხალხი დიდი არ არის, მაგრამ ბულგარეთთან სდგას გერმანია, რომლის ბედი გადასწყვეტს ბულგარეთის ბედსაც.

გაუმარჯოს გერმანიის იმპერატორს და ბულგარეთის მეფეს!“

ბუქარესტი 17 ენკენისთვე. ბრატიანომ პარლამენტის დელეგაციას განუცხადა, რომ რუმინეთის საყოველთაო მობილიზაციის მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა. ჯერჯერობით ამის მოტივების გამოქვეყნება უხერხულია და მოითხოვა პარლამენტის ნდობა.

ჟიტომირი. 17 ეკენ. უაცრათ გარდაიცვალა ლუცკ-ჟიტომირის კათოლიკების ეპისკოპოსი ლონგინ ჟარპოვეცკი.

სტოკჰოლმი. 18 ეკენ. გერმანიის მთავრობამ ოფიციალურათ სინანული გამოსთქვა შვეციის გემის „მალმლანდის“ დაღუპვის გამო და აღუთქვა შვეციის მთავრობის ზარალის ანაზღაურება. ვენიდან მასულ ცნობებით, ბულგარეთის პრემიერ მინისტრი რადოსლავოვი ამ მოკლე ხანში ბერლინს გაემგზავრება.

ლონდონი. 18 ეკენ. დამატებითი ცნობების მიხედვით მდ. ტიგრზე მომხდარ ბრძოლის დროს ტყვეთა რიცხვი 1650 კაცს უდრის. მოჰყავთ კიდევ ახალი ტყვეები მოპირდაპირის რეგულიარული ჯარი 3000 მდია. ციხე სიმაგრენი ტეხნიკის უკანასკნელ წესების თანახმათ არიან აგებულნი. 16 ეკენ. დილით ჩვენმა ჰაეროპლანებმა შენიშნეს გაქცეული ოსმალები ბაღდადისკენ; ერთმა ჰაეროპლანმა ყუმბარა ესროლა მტრის გემს. ჩვენი კავალერია კუტელნმარში შევიდა. ჩვენი ნავები მისდევენ მტრის გემებს, რომლითაც ჯარი მიდის.

ომის ამბები.

რა ხდება მინსკში.

დილ დილობით 8-9 საათზე ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად „გარადავოები“ გამოდიან და 18—45 წლის მამაკაცებს საზოგადო საშუშაოსთვის აგროვებენ. მოსკოვისაკენ საფოსტო მატარებლის გარდა, სხვა შეწყვეტილია. ვოგზალზე დიდძალი ბაგაჟი უპატრონოთ ყრია, რადგან მატარებლების მიმოსვლა ყოველ მხრიდან შეწყვეტილია. კარგათ მოწყობილია პროჟექტორებით ქალაქის და მისი მიდამოების ღამღამობით თვალიერება, რომ მტრის ჰაეროპლანები უეცრათ თავს არ დაეცენ და ყუმბარები არ ჩამოყარონ. თუმცა ჯერ არ უცდიათ ეს, მაგრამ ყოველ ჟამს მოსალოდნელია. ქალაქის განაპირა ქუჩებში და მიდამოების შარა გზაზე განუწყვეტლათ გაბმულია გუბერნიის შორეულ მხარეებიდან და აგრეთვე სხვა მეზობელ გუბერნიებიდანაც გადმოხიზნული გლეხების დატვირთული ურმები, რომლებიც როგორც ერთი დაუსრულებელი ქარავანი აღმოსავლეთისაკენ მიდიან. ქალაქ მინსკში მოკლე ხნითაც არ ჩერდებიან. თვითონ მინსკიდან მცხოვრებნი მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტის გამო ველარ გადიან. (რ. ვ.)

მთავარი ძალა.

გაზეთი „რეჩის“ სამხედრო მიმომხილველის აზრით გერმანელები ახლა მთავარ ყურადღებას სადგურ ვილეიკას აქცევენ, სადაც ახლა მათ აურაცხელი ძალა ჰყავთ თავმოყრილი და ამ ძალებს თანდათან სამხრეთისაკენ აგზავნიან. ყველაზე აქტიურ ნაწილათ უნდა ჩაითვალოს ვილეიკა-ვენეციის ხაზზე მომქმედი ჯარი, რომლის მიზანია რაც შეიძლება მალე დაიკავოს დაბა მილოდეჩნო და მილოდეჩნო—მინსკის რკინის გზა. სამკუთხედშიაც—ვილნა მოლოდეჩნო-ლიდაში მეტათ დიდი ძალებია თავმოყრილი, რომელთაც დავალებული აქვთ მთავარი, გადამჭრელი „დაკვრა“ აქ შეასრულონ.

საბერძნეთის მობილიზაცია.

გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ საბერძნეთის მობილიზაციამ მეფე ფერდინანდზე და მის მთავარ მანისტრზე, რადოსლავოვზე დიდი დამაღონებელი შთაბეჭდილება მოახდინა; როგორც სჩანს ბულგარეთში ჯერ კიდევ ყველაფერი გადაწყვეტილი არა აქვთ. და შესაძლებელი პოლიტიკა ისევ შეიცვალოს.

(რ. ვ.)

დასავლეთის ფრონტზე.

გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ გერმანიის სამხედრო შტაბი დასავლეთის ფრონტზე ნემცების დამარცხების შესახებ ფრანგ-ინგლისელთა ცნობას ადასტურებს, მხოლოდ მათგან ფრონტის გარღვევის ამბავს უარყოფს. (რ. ვ.)

ავსტრია სერბიის საზღვრებისაკენ.

ათინიდან გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ ავსტრია გერმანელთა ლაშქარი 700,000 კაცისგან შემდგარი ორშოვის რაიონიდგან უკვე დაიძრა და სერბია-ავსტრიის საზღვრებისაკენ მიიმართება.

(ვ. ვ.)

ავტონომიას უარყოფენ.

კოპენგაგენიდან გაზეთებს აცყობინებენ, რომ „ფრანკფურტის გაზეთის“ გადმოცემით ავსტრიის მთავრობა გერმანელებთან შეთანხმებით პოლონეთის ავტონომიის უარყოფის გზას დაადგა, აზრათ აქვს პოლონეთშიაც ისეთი რეჟიმი დაამყაროს, როგორიც დღეს კროატიაში აქვს შემოღებული. ვ. ვ.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

უარი აუდიენციაზე.

როგორც მკითხველებმა იციან სათათბიროს თავმჯდომარეს, როძიანკოს დავალებული ჰქონდა ხელმწიფე იმპერატორთან აუდიენცია ეთხოვა. ამ „საქმის“ შესასრულებლათ სათათბიროს თავმჯდომარემ მინისტრთა თავჯდომარე, გორემიკინი ინახულა და ამ საგანზე მასთან „მოლაპარაკება“ გამართა. საუბარი შეეხო დღევანდელ საჭირბოროტო მთავარ კითხვას პოლიტიკური მომენტის საკითხს და გამოირკვა, რომ ხელმწიფესთან აუდიენციის მოწყობას, ბევრი რამ აბრკოლებს. ამიტომ როძიანკო ფიქრობს, რომ თავისი უქვეშ
იმპერ
ბითი

ა

რომძ
სიულ
თბირი
თბირმა
მენ; გვა
ბიროს თა
რამდენიმე
რინოსლავი
ვრათ.

დეპუტა

სარწმუნო
რომ მოსკოვის
დეპუტაციებს აუდი ხე არ მიიღონო.
როგორც ამბობენ ი კოვის სიეზდების მიერ გამოტანილ რეზოლიუციების გამო მთავრობის წარმომადგენელთა კერძო თათბირზე ზოგიერთებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ მოსკოვის სიეზდები საზღვარს გადასცდენ და ისეთი რეზოლიუციები მიიღეს, რასაც მთავრობა სრულიათაც არ მოელოდა როცა მათ კრების ნებას აძლევდა. ფორმალურათ არც მათ მიერ არჩეული დელეგატები შეიძლება ჩავთვალოთ ზათ ნამდვილ რწმუნებულებათ; ამას გარდა აუდენციაზე ამ დელეგატების დაშვება რამდენიმეთ პასუხი იქნებოდა იმ რთულ კითხვებზე მიცემული, რომლებიც ხსენებულ რეზოლიუციებშია აღძრული. მაშინ როდესაც ეს კითხვებში ჯერ კიდევ არაა გარკვეულ—გადაჭრილი და არც შეიძლება ჯერ ითქვას, თუ რა გზას დაადგება მთავრობა მათ შესახებ.

(რ. ვ.)

მუშათა არჩევნები.

27 სექტემბერს პეტროგრადში ყველა კერძო და სახაზინო ქარხნების მუშათა რწმუნებულების საზოგადო კრება უნდა მოხდეს, რომელზედაც რწმუნებულები ცენტრალურ სამხედრო სამრეწველო კომიტეტში თავიანთ წარმომადგენლებათ თავიანთ შორის ათ წევრს აირჩევენ.

არეულობა მოსკოვში.

განცხადება. გამოქვეყნდა მოსკოვის გრადონაჩალნიკის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ 14 სექტემბერს საღამოს მოსკოვში ,,სტრასტნოის'' მოედანზე და ტვერის ქუჩაზე ბრბოსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. საქმე იმით დაიწყო, რომ ტრამვაის

გ-ნი ანი და მესამე „ბლოკი“.

I

„მდგომარეობას (?) იხსნის (?!) მხოლოთ მესამე „ბლოკი“, მესამე ბანაკი»; ამბობს ანი თავის წერილის-„ორი ბლოკის“ ბოლოში. (იხ. „თ. აზრის მე-159 №-რი.)

რა მდგომარეობაა ეს ან ვინაა, რომ გასაჭირ მდგომარეობაში ჩავარდნილა და შველასა და ხსნას თხოვილობს?

ერთი შეხედვით მკითხველს ეგონება, თითქო აქ გამოსაცნობი არაფერია! თითქო აშკარაა, რომ აქ ანი რუსეთის აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას ჰგულისხმობს და რუსეთის სახელმწიფოს ხსნაზე და დაცვაზე ლაპარაკობს!

შემცდარი იქნება მკითხველი, თუ ასე იფიქრებს

თუ იგი დაკვირვებით და გულდასმით წაიკითხავს მის წერილს, ადვილათ მიხვდება, რომ აქ რუსეთის „ოპპოზიციონური ბორჟუაზიის“ ხსნაზე და შველაზეა ლაპარაკი და არა რუსეთზე. და მერე ვინაა ამ ბურჟუაზიის მხსნელი და მშველელი? გ-ნ ანისავე სიტყვით—„მესამე ბლოკი, მესამე ბანაკი“.

ანის წერილი რომ მოკლეთ მოვჭრათ შემდეგი გამოვა: რუსეთში არსებობდა და დღესაც არსებობს შავების ბლოკი, რომელიც სახელმწიფოს პატრონობს და განაგებს; ამ ბოლო დროს, როცა რუსეთი ბრძოლის ველზე დამარცხდა, შედგა „შუა პარტიების“, ზომიერ პროგრესისტების, ოპოზიციონური ბურჟუაზიის, ბლოკი, რომელიც თხოვილობს, რომ ქვეყნის პატრონობა-გამგეობა მას გადაეცეს, რათა ქვეყნის დაცვა შეიძლოს.

მაგრამ „ამ ოპპოზიციაზე დიდი (!) იმედების დამყარება არ შეიძლება. რატომ?..

„მიტომ, რომ მას აკლია ის ძალა, რომელიც ერთ დროს ევროპის ბურჟუაზიას თან ახლდა“, ს. ი. ხალხი.

მაშასადამე „ოპოზიციონურმა ბურჟუაზიამ“ რომ თავისი ისტორიული როლი შეასრულოს, ამისთვის საჭიროა დემოკრატიაც ამოძრავდეს და ხალხის ფართე მასსამ „ოპოზიციას“ მხარი დაუჭიროს, „თან ეახლოს“.

ამისთვის საჭიროა ამ ფართე მასსების შემაკავშირებელი ბლოკი შედგეს და აი ეს იქნება, დემოკრატიული „ბლოკი“-ს „მესამე ბანაკი“.

მაგრამ ამ „მესამე ბანაკის“ ავანგარდი, მუშათა კლასი „უძრაობის იდეოლოგიას“ შეუპყრია და გასაქანს არ აძლევს. იგი ომის გამო ისეთ პოზიციაზე დამდგარა, რომ მოქმედება აღარ შეუძლია: „დადუმებულა“ და თითქო დადამბლავებულა.

ამისთვის საჭიროა ამ იდეოლოგიის, ამ პოზიციის უარყოფა და ქვეყნის ახალი ძალებით დაცვის პოზიციაზე მისი დადგომა, საჭიროა ოპპოზიციის „პოპულიარული“ ლოზუნგის აღიარება და ფართე მასაში გატანა, ერთი სიტყვით „ოპოზიციონურ ბურჟუაზიასთან ერთათ ამოძრავება და „ახმაურება“. ამით შევსება ის დანაკლისი, რაც ოპოზიციონურ ბურჟუაზიას ისე ილაჯით ხდის და რასაც ახლა იგი დემოკრატიის ამოძრავებით შეიძენს.

ამნაირათ საჭირო ხდება, რომ მეორე და მესამე ბლოკმა, ოპპოზიციონურმა ბურჟუაზიამ და დემოკრატიამ მჭიდრო კავშირი შეკრას და ბრძოლის დროშა ერთათ აღმართოს.

აი რა ,,იხსნის'' და რა უშველის ,,ოპპოზიციონურ ბურჟუაზიას:'' ვინ ან რა ჩაუგდებს მას ხელში ქვეყნის პატრონობისა და მართვა-გამგეობის უფლებას!

ასე მსჯელობს ანი ,,ოპპოზიციონურ ბურჟუაზიის'' ახლანდელ გამოსვლაზე და ამ „დიდ ტაქტიკურ კითხვას'' ასე აყენებს: ,,როგორ ჩავებათ მოძრაობაში ისე, რომ არც ბურჟუაზიას შეუშალოთ ხელი შავებთან ბრძოლაში და არც მან შეგვიშალოს ხელი საკუთარი ფიზიონომიის შენახვაში''?

აყენებს ანი ასე კითხვას და მოკლეთ, მარა გადაჭრით შემდეგ პასუხს იძლევა: ,,ოპპოზიციონური ბურჟუაზიის'' მიერ წამოყენებული პრობლემა საამდროვო პრობლემაა, ის ნამდვილი გამოხატულებაა ერის ფართო წრეების სულისკვეთების. ამ პრობლემის გაღრმავება და გაფართოვება დამოკიდებულია იმ კლასზე, რომელიც დღეს უიდეობას მოუცავს და უმოქმედობას შეუპყრიათ''.

მაგრამ ავტორს სწამს, რომ ამ კლასის ,,უიდეობა და უმოქმედობა'' მალე გაქრება და იგი ,,მოძრაობაში ჩაებმება'' და რომ მისმა ჩარევამ არც ბურჟუაზიას შეუშალოს ხელი შავებთან ბრძოლაში და თავისი საკუთარი ფიზიონომია შეინახოს'', ამისთვის ანის აზრით საჭიროა ამ კლასმა ბურჟუაზიის მიერ წამოყენებული სადღეისო ,,პრობლემა'' ,,გააღრმავოს და გააფართოვოს'' და ამით ხელი შეუწყოს ,,მეორე ბლოკის გამარჯვებას'', რაიცა ,,შექმნის სრულიად ახალ განწყობილებას მსგავს ევროპის განწყობილებისა და მაშინ დემოკრატიის პოზიცია და ტაქტიკა ევროპისას დაემსგავსება''.

ერთი სიტყვით მუშათა კლასმა ბურჟუაზიის ,,პრობლემა'' ანუ უკეთ ლოზუნგი ისე უნდა ,,გააღრმავოს და გააფართოვოს, რომ არც ბურჟუაზიას შეუშალოს ხელი'' და იმავე დროს ,,საკუთარი ფიზიონომიაც შეინახოს'': თავის მოპირდაპირე კლასის ლოზუნგიც უნდა შეითვისოს და საკუთარი ინტერესი დაიცვას!

როგორც ხედავთ „ჩინებული“ რჩევაა, „ძვირფასი“ ტაქტიკაა, მაგრამ ანის საწუხაროთ უნდა განვაცხადოთ, რომ ისეთი რჩევა ტაქტიკა რუსეთის მუშათა კლასის ავანგარდმა 1—7 სექტემბრის „გამოსვლით“ უკვე დაჰგმო და მან საკუთარი კლასობრივი დროშა-ლოზუნგი გამოაფინა! ვინაა აქ მართალი:

ანი თუ რუსეთის მუშათა კლასი?

მე ზემოთ განზრახ ვრცლათ ავნუსხე ანის დებულება—ცეზისები და ვრცლათ და სრულად აღვნიშნე მის მიერ დაყენებულ კითხვაზე მისივე პასუხი. ანი „ჩვენი“ პუბლიცისტიკის დამაარსებელია, „მესამე დასის“ უძლიერესი და უნიჭიერესი იდეოლოგია და ვინ იცის, ჩვენში კიდევ იყვნენ ისეთები, რომლებიც ასეთი ავტორიტეტს, როგორიც არის ანი, ცუდს ვერაფერს შესწამებენ, ეჭვს არ აიღებენ მასზე და მუშათა კლასის იდეოლოგობის სახელს ვერ მოაკლებენ! დე, ისინი კარგათ ჩაუკვირდენ ანის წერილს, მის მიერ ბოლო დროის აღიარებულ პოზიციას ერთი მხრით და ამ ჩემს მცირე პასუხ—წერილს მეორე მხრით და მერე სთქვან:

შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ანი მუშათა კლასის ჭეშმარიტ იდეოლოგათ ჩაითვალოს?

მაშ შევუდგეთ საქმეს: ვნახოთ, თუ რამდენათ საფუძვლიანი ანის ანალიზი დღევანდელი მომენტის, და გავიგოთ, თუ სით მივყავართ მის მიერ აღიარებულ ტაკტიკას!

II.

მართალია ანი, როცა იგი სრულიათ „შავების“ ბლოკის გაჩენის გამო ლიბერალებს შენიშნავს: „.... სწორეთ სასაცილო იყო ლიბერალების გაკვირვება—უყურეთ შავი ბლოკი შედგაო, თითქო ეს რაღაც დღემდის გაუგონარი და უნახავი ხილი იყო, როდის არ იყო ეს ბლოკი?“
მართალია ისიც, რომ „**სულ სხვა მეორე ბლოკი**“...

რომ ეს რუსეთის ბურჟუაზის პირველი ოპპოზიციური გამოსვლაა საკუთარი ძალღონით და ხალხის ფართო წრეების დაუხმარებლათ,“ ე. ი. დემოკრატიაზე დამოუკიდებლათ.

მაგრამ რად უშვებს მხედველობიდან ანი ბურჟუაზიის იმ სუსტ ოპოზიციონურ გამოსვლას, რომელიც ქრონოლოგიურათ პირველია და სულ სხვა პირობებში მოხდა რომელიც „ხალხის ფართე წრეების“, ე. ი. დემოკრატიის პოლიტიკური ამოძრავებით იყო გამოწვეული?

არა გვგონია, რომ ანს მაშინდელი ლიბერალური „ბანკეტები“ და „ერობის კამპანია“ დავიწყებოდეს! მან თუ ის კარგათ იცის, რომ მაშინ „პროლეტარული მოსკოვი პროლეტარული რუსეთის მებაირაღტრეთ გამოვიდა,“ ისიც კარგათ ემახსოვრება, თუ როგორ გუნებაზე დადგა რუსეთის ბურჟუაზია „ოქტომბრის დღეებში“ და როგორ ხმა მაღლა „ფიცულობდა“ იგი პროლეტარიატის მზეს.

რუსეთის ბურჟუაზიის ეს ორი გამოსვლა, ძველი და ახალი, პირველი და რომ ერთმანეთს შევადაროთ, შემდეგს დავინახავთ: ძველი მისი გამოსვლა მისი პირველი „პოლიტიკური ამოსავლებია, (რაც მან პროლეტარიატისაგან ისწავლა,) იგი სრულიათ „ხალხის ფართე წრეების“ თავისებურ პოლიტიკურ ამოძრავებაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც იყო, რომ პირველი დუმის გარეკა და ვიბორგის ,,მოწოდება'' სწორეთ „ხალხის ფართე მასსების დაუხმარებლათ ჩატარდა და ამიტომაც დარჩა იგი „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“ როგორც კი გაწყდა ბურჟუაზიასა და ამოძრავებულ დემოკრატიას შორის კავშირი, მისი „ოპპოზიციონერობაც'' იმ დიდიანვე განელების პროცესში ჩავარდა. ასეთი იყო რუსეთის მჭიდრო ბურჟუაზიის უდღეური, ნაძალადევი და არა ბუნებრივი ,,ოპპოზიციონერობა''.

,,სულ სხვაა'' ახლანდელი მისი აჩქოლება, ,,ახმაურება'' და საუდიენციოთ გამზადება! ის ახლა აღარ ხუმრობს: ეს კლასი ახლა სხვისგან დამოუკიდებლათ, თა-

ცარის
თვი-
ურის
ამ-
უ
შე-
როს
წაუ-
ოება
ყობდა
გარე-
გახდა
ამ არეუ-
ა დაჭრი-
ა თ. ფ.)

იროს წევრე-
ოოს ხელახლა-

ვე ო[illegible] ვის საკუთ[illegible] ლმწიფე იმპერატორის ბანაკიდან მინისტრების ჩამოსვლის შემდეგ გადაწყდება. პოლიტიკურ წრეებში იმასაც ამბობენ, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბანაკში მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ჟანდარმთა კორპუსის უფროსი კრიჟანოვსკიც დაესწრო, შემდეგი კითხვებიც უნდა გადაწყდესო: 1) საერთო პოლიტიკური მდგომარეობა, 2) სათათბიროს ხელახლავე მოწვევა, 3) მოსკოვის სიეზდების დელეგაციების აუდენციაზე მიღებოდა, 4) ბულგარეთის გამოსვლა და მასთან დამოკიდებულება. (კ. ს.)

როძიანკოს სიტყვები.

ქ. ხარკოვიდან გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ როძიანკომ იქ გამოვლის დროს მადნის მრეწველთა სიეზდების დელეგაცია მიიღო, რომელსაც შემდეგი სიტყვები უთხრა: „მე დიდ იმედებს ვამყარებდი მრეწველებზე, მაგრამ როგორც ვხედავ მოვსტყუვდი: თქვენ მხოლოთ ლაპარაკობთ და ჩხუბობთ და ამის ნაყოფი ისაა, რომ დღემდე მთელ სამხრეთ რუსეთს არც ერთი შრაპნელი არ დაუმზადებია. ასევე იქცევიან მოსკოვშიაც და პეტროგრადშიაც. (რ. ს.)

რუსული პრესა.

რამდენათ გამოიცვალა აზრი და შეხედულება რუსეთის სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა ბ-ნმა **გ. პლეხანოვმა,** ნათლად სჩანს შემდეგი მისი წერილიდან, რომელიც ბურიანოვისათვის მიუწერია:

„ძვირფასო ამხანაგო, გწერთ ამ წერილს, თუმცა არ ვიცი მიიღებთ პეტროგრადში თუ არა. თუ იქ არ იქნებით, იმედია, გამოგიგზავნიან. აი საქმე რაშია. სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის ვადა ახლოვდება. პირობები, რომლებშიაც ეს მოწვევა ჰხდება, არამც თუ განსაკუთრებულია, პირდაპირ კრიტიკულია. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისის შემდეგ ასეთ მდგომარეობაში არა ყოფილა. თავის დაცვისათვის მან მთელი თავისი ძალღონე უნდა მოიკრიფოს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენი თანამოაზრენი რაიმე მოუფიქრებელი ნაბიჯით რუსის ხალხს თავის-დაცვის საქმეში ხელს შეუშლიან. გერმანიამ რომ ქამანდი მოსდოს რუსეთს, ამით უპირველესად ყოვლისა თვით რუსის პროლეტარიატი და მშრომელი მასსა დაზარალდება. აქედან ცხადი ჰხდება, რომ თქვენ და თქვენი ამხანაგები, სათათბიროს სიციალ-დემოკრატი დეპუტატები ხმას საომარ კრედიტების წინაალმდეგ ვერ მისცემთ შენიშვნა გაუკეთეთ, მაგრამ ხმა კი მიეცით კრედიტებს. კრედიტების წინაალმდეგ გალაშქრება იქნება **ღალატი** (რუსის ხალხისა), თავის შეკავება კი—**სიმხდალე.** ხმა მიეცით!

ეს წერილი ამხანაგ ჩხეიძეს წაუკითხეთ და უთხარით: ვაფიცებ, რაც კი წმინდა აქვს, ყურადღებით მოექცეს ამ წერილს. მე გავიგე, რომ მას აზრადა აქვს თავის დაცვის კომიტეტში შევიდეს. თუ ეს მართალია, გადაეცით, რომ მე აღტაცებით ვეგებები ამ გადაწყვეტილებას თქვენც გირჩევთ ჩხეიძეს მაგალითს მიჰმართოთ. მაპატიეთ, რომ გაძლევთ ამ რჩევას მაშინ, როდესაც თქვენ არა მთხოვთ რჩევას. მაგრამ ეხლა ხომ დრო განსაკუთრებულია. გახსოვდეთ ძვირფასო ამხანაგო. რომ ეხლანდელ პირობებში არ შეიძლება თავის დაცვის წინაალმდეგ იყოთ. იმედი მაქვს მომწერთ: „ჩვენ ეს უთქვენოდაც გარგად ვიცითო". რა მოხარული ვიქნები, თუ ასეთი ძახილი შემომესმება. იგი დაამტკიცებს, რომ ამხანაგებს შეუგნიათ თანამედროვე მდგომარეობა.

გ. პლეხანოვი.

მშვენიერ პიპიტებს.

დღეს, ჩვენი ნიჭიერი მგოსანი გალაქტიონ ტაბიძე ქალაქის თეატრში თავის საღამოს მართავს. დღეს მისი მეგობარი მგოსნები, მწერლები, მსახიობნი და მომღერალნი ნიშნად ძმურის ნუგეშისა მასთან ერთად სცენაზედ გამოვლენ და წაიკითხავენ თავიანთ ლექსებს, ითამაშებენ პიესას, იტყვიან სიმღერებს, „საქართველოს ყვავილები", როგორც უწოდებენ თავის თავს მონაწილენი, დღეს. ამ საღამოზედ დაჰყრიან თავის ფურცლებს და მათი ფერ-ფლი შეჰქმნის იმ ატმოსფერას პოეზიისას და მშვენიერებისას, ურომლისოდაც ჩვენი ცხოვრება მოწყენილი და მაბეზარი იქნებოდა. რითი შეგვეძლო ჩვენ, მის მეგობარ ჟურნალისტებს, რომელთაც არც ლექსების წაკითხვა შეგვიძლიან, არც სახიობა, არც სიმღერის თქმა, აღგვებეჭდა მის ნიჭისადმი ჩვენი ღრმა და გულწრფელი პატივისცემა? ჩვენი პროფესია ფრიად ვიწროა და ჩვენი დანიშნულება ერთფეროვანი, რომ უღალატოთ მას. ჩვენ ვგევართ იმ მექანიკურ არსებათ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მანქანებს, რომლებიც მხოლოდ შესაფერ და არა ყველა პირობებში მოდიან მოძრაობაში და ამ მოძრაობასაც მხოლოდ განსაზღვრული შედეგი აქვს. ეს არის წერა, წერა იმაზე, რაზედაც ორატორი სიტყვით იტყოდა, მომღერალი მღერით და მსახიობი მსახიობით. ამიტომ ეს წერილი მე მინდა უძღვნა მგოსან ტაბიძეს, მის საღამოს და ყველა ახალგაზრდა მგოსნებს, რომელთათვის ცხოვრება დაუსრულებელი ტანჯვაა და პოეზია კი უფრო მეტი.

ქართველი პოეტის ბედი საოცარია. ყველაზედ უდიდესი მათ შორის, შოთა რუსთაველი თავის შესანიშნავ თხზულებაში ერთადერთ სიყვარულზე მღერდა და მოკვდა კი, როგორც გადმოცემა ამბობს, ბერობაში. დავით გურამიშვილი უცხო ქვეყანაში გადიხვეწა და საფლავიც არ ვიცით მისი, ხოლო ბესიკის საფლავს საღლაც, ბოლგარიაში, ჯერაც არ ღირსებია ქართულ ,,სულთა თანა''. ილია ჭავჭავაძე? მაგრამ ნურას ვიტყვით ამაზედ. როდესაც დავით წინასწარმეტყველს საუკეთესო მეგობარი იონაფანი მოუკვდა, წამოიძახა: ,,ნურას ეტყვით ფილისტიმელებს ამ სიკვდილზედ, მეშინიან ჩემმა მწუხარებამ მათში სიხარული არ გამოიწვიოსო''. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენც არასოდეს არ ვიგონებდეთ ჭავჭავაძის სიკვდილს. მარტიროლოგია ქართველ მგოსნებისა ფრიად ვრცელია და სხვა მაგალითებითაცა შეიძლებოდა იმის დამტკიცება, რომ ყველა მათგანი ისე სცხოვრობდა, როგორც ეს მათ არა სურდათ და ისე კვდებოდა, როგორც ეს მათ არ ეხალისებოდათ. განა ვაჟა-ფშაველას სიკვდილი ამის მაგალითით არ არის,-დამაწვინეთ მიწაზედ და გარს ბალახები შემომიწყეთო, ეუბნებოდა ის ექიმებს, როდესაც სიკვდილის მოახლოვება იგრძნო. ჩვენ ექიმებს რომ მისი სურვილი აღესრულებინათ მოკვდებოდა ვით მოკვდა პეტრონიუსი და როგორც პეტრონიუსის კეთილშობილი სისხლი, ძარღვებიდან წამომსკდარი, მის გარშემო დაფენილ ყვავილებს ეღვენთებოდა-ისე ვაჟა-ფშაველას სულიც პირიდან ამომხდარი, მის გარშემო დაწყობილ ბალახებში განიბნეოდა. არის მშვენიერება, რომელსაც მხოლოდ პოეტები აღწევენ. და ბალახებში გაბნეული სული ვაჟა-ფშაველასი, ის ორთქლი იქნებოდა, რომელიც ასდის ყვავილსა და ბალახს დილის პირველ ჟამზედ, მზის პირველ ისარზედ! განა ეს მშვენიერება არ არის! ჯერ კიდევ ეგვიპტელებს სწამდათ ასეთი გარდაქმნა სულისა, და მათის წარმოდგენით, მიცვალებულის სული ჩიტის სახით უბრუნდებოდა მშობელ კერას. მაგრამ თანამედროვე სიკვდილი შორს სდგას ასეთ პოეტურ სიკვდილისგან და ვსცხოვრობთ რა ისე, როგორც ეს ჩვენ არა გვსურს, ვკვდებით ისე, როგორც ჩვენ ეს არ გვეხალისება.

უფრო სასტიკია ბედი ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა. ყველა ჩვენ დიდ მწერალს ბოლო ცუდი ჰქონდა, ყველა ჩვენ ახალგაზრდა მწერალს დასაწყისი აქვს ცუდი. ტრაღედია მათი უფრო დიდია, როგორც ახალგაზრდა და ჯერ შეურიგებელ სულისა და ყველაზედ სასირცხვო მათთვისაც და ყველა ჩვენ დანარჩენებისთვისაც ის არის, რომ ამ ტრაღედიას სარჩულად სიღარიბე უდევს. სიღარიბე ავზნეობა არ არის მაგრამ როდის იყო, რომ ამ ანდაზას ღარიბი კაცის აღელვებული სინიდისი დაემშვიდებინოს. და ეს სიღარიბეც და ამ სიღარიბისაგან გამოწვეული ტრაღედიაც ჩვენის მწერლობისა, მძიმე ლოდათ და სირცხვილათ აწევს თანამედროვე ქართულ კულტურას. და მართლაც რა უნდა იყოს იმაზედ უსიამოვნო, რომ მგოსანი, შემქმნელი გუშინ საუკეთესო ლექსისა, დღეს ხელ გაწვდილი იდგეს მოწყალეობისათვის. მათხოვარი მგოსანი ისეთივე შეურაცხმყოფელი გაუგებრობაა, როგორც მათხოვარი ღმერთი, მპყრობელი ხილულისა და არა ხილულისა მაგრამ, ამ სიღარიბის ტრაღედიაში არის სილამაზეც სიღარიბისა და ისინი, ვისაც ბედმა მძიმე ქისა მისცა, ამპარტავნობით არ უნდა დასცქეროდენ ღარიბ ოჯახს ქართველ მწერლებისას. ღმერთებს არ შეშვენით მათხოვრობა, მაგრამ ქალთა სათნოების გამოსაცდელათ ღმერთსაც ხშირად აუკიდნია მათხოვრის გუდა და ჩვენი ,,გლახაკი'' პოეტები, მსახიობნი, მხატვარნი და საზოგადოთ ყველა ღარიბი ხელოვანი იმ გლახაკს გვანან, რომელმაც მშვენიერ პიპიტას რეალი გამოართვა, მაგრამ ამ რეალით თაიგული იყიდა და ისევ მშვენიერ პიპიტას შესთავაზა. აი, რათა მსურდა, მეთქვა დღეს ყველა ჩვენ მშვენიერ და არა მშვენიერ პიპიტებისათვის, რომ ქართველ მგოსანზედ გაღებული ფული, მუდამ პოეზიის თაიგულებით უბრუნდებოდათ მათ. ქართველ საზოგადოებას არასოდეს არ გაუღია ქართველ მგოსანზედ იმდენი დახმარება, რამდენი ყვავილიც პოეზიისა ამ უკანასკნელ მიურთმევლათ საქართველოსთვის. როდესაც სიყვარული და პატივისცემა გასაღებათ დადგება მაგრამ იქნება დადგა უკვე ისეთი დღე, როცა ამ ყვავილებს ქართველობაც თავის [illegible] საქართველოს ყვავილები უკ[illegible]იან ამას.

[illegible]

დეპეშები.

კუთაისის ქალაქის თავმა მის იმპერატორობითი უმაღლესობისაგან, კავკასიის მეფის მოადგილის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისგან შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო.

ქუთაისის ქალაქის თავს ჩიქოვანს.

გულითად მადლობას ვუძღვნი ქუთაისის ქალაქი საბჭოს და მთელ ქ. ქუთაისის მცხოვრებლებს მოლოცვისათვის. ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის შეწევნით დავამარცხებ მტერს და მომანიჭებს მე ძალას ნაყოფიერი მუშაობისათვის მდლად კავკასიის სასარგებლოთ. გენერალი ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

ეს პასუხია იმ დეპეშისა რომელიც გაუგზავნა ქალაქის გამგეობამ. 17 სექტემბერს.

ქუთაისის ქალაქის თავმა **ი. მ. ჩიქოვანმა**. შემდეგი შინაარსი დეპეში გაუგზავნა

მოსკოვი. ქალაქის თავს ჩელნოკოვს.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ საზაფხულო დასვენების შემდეგ პირველ სხდომაზე ერთხმათ დაადგინა შეუერთოს თავისი ხმა, რუსეთის ქალაქებისა და საერობო მოღვაწეთა ხმას, რომლებმაც გულახდილათ და გაბედულათ განაცხადეს მოსკოვის ისტორიულ კრებაზე რომ ტეხნიკურათა და სულით ძლიერ მტრის დასამარცხებლათ საჭიროა განახლება სახელმწიფო სათათბიროსი, მოწვევა ქვეყნის ნდობით აღჭურვილი და საპასუხისმგებლო სამინისტროსი და გათანასწორება რუსეთის ყველა მოქალაქისა კანონის წინაშე.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს და მასთან ყველა მცხოვრებს ქ. ქუთაისისა და სრულიად საქართველოსას ღრმათ სწამთ, რომ სრულიად რუსეთის სიეზდის მიერ წარმოთქმული შეერთება ქვეყნის ყველა ძალისა, როგორც თავდები რუსეთის გამარჯვებისა მტერზე, შესაძლებელია იმ პირობების მოსპობით, რომელიც აფერხებს ერთა თავისუფალ ეროვნულ განვითარებას, მათ რიცხვში ქართველებისასაც. დიად რუსეთთან ძველადვე ერთგულისა და თანა შეზრდილს საქართველოს, რომელსაც თავის გრძელსა და მძიმე ისტორიულ გზაზე ბევრი ტანჯვა განუც-

---

ვესი საკუთარი სურვილითა და ნებით „გამოძვრა თავისი გეშეფტური სოროდან, [illegible] და ყანთარი გვერდზე მოიდვა და საერთო პოლიტიკური კითხვა დასვა".

ამიტომაც იგი დღეს, როგორც დამოუკიდებელი, უფრო პირდაპირ და გაბედულათ მოქმედებს: „შესაფერ რეზოლიუციებს იმუშავებს", იგი არ კმაყოფილდება „ტეხნიკურ აპარატობით," ჰგმობს კადეტთა პარლამენტარულ ტაქტიკას" და „პოლიტიკურ პაროლს იძლევა". აი როგორი რიხით გამოდის დღეს ოპპოზიციონური ბურჟუაზია! ეს წინათ არ იყო. არ იყო იმიტომ, რომ მაშინ მისი გამოსვლა დამოკიდებული იყო პროლეტარიატის გამოსვლაზე, გამოწვეული იყო მუშათა კლასის პოლიტიკური ამოძრავებით. ახლა კი „სულ სხვაა", ახლა თვითონ ის არის ინციატორი, ის არის მოძრაობის ლოზუნგისა და პაროლის მომცემი!

როგორ მოხდა ეს? საიდან გაჩნდა „პროლეტარიატის მდუმარება" და ოპპოზიციონური ბურჟუაზიის" ასეთი რიხიანი დამოუკიდებელი გამოსვლა? რამ გამოიყვანა „ეს კლასი თავისი გეშეფტური სოროდან?" ამის ერთად ერთი სათავე ახლანდელი მსოფლიო ომია, ამის მიზეზი ბრძოლის ველზე რუსეთის დამარცხებაა, „კატასტროფაა", როგორც ამას სამართლიანათ ანიც აღიარებს.

III

რუსეთის ოპპოზიციონურ ბრჟუაზიის ახალ „ახმაურებას" დიდიხნის ისტორია როდი აქვს: იგი სულ წელიწად ნახევრის საქმეა.

რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია 7—8 წლის რეაქციონურ ძილის შემდეგ გერმანიის ზარბაზნების ახმაურებამ ძლივს გამოაფხიზლა „აალაპარაკა".

მესამე დუმის მთელი ხანა და მეოთხე დუმის დასაწყისი ყველა ოპპოზიციონურმა პარტიებმა დუმის მოშავო უმრავლესობასთან შეხმატკბილებული გატარეს და რუსეთის „პარლამენტარიზმი" თავის ლოღიკურ დასკვნამდი მიიყვანეს. მართალია ერთი კი აჩოჩქოლდენ „ბეილისის საქმეზე", მარა სამაგიეროთ „ლენის ამბების" გამო დიდი „ლოიალობა" და თავდაჭერა გამოიჩინეს; ფილიანდიის ავტონომიის შესამუსრავათ აღმართულ ხელს თუმცა რიხიანი საპროტესტო სიტყვით შეხვდენ, მარა მალე ჩაჩუმდენ და ყველაფერი დავიწყებას მისცეს.

ერთი სიტყვით ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ მას რაიმე აქტივობა გამოეჩინოს და ოპპოზიციისთვის მომქმედი სული ჩაედგას. ისეთი შამთხვევა კი ხშირი იყო, როცა ისინი „შავებთან" და ამათ მონათესავეებთან ხელი-ხელჩაკიდებული ერთად გამოდიოდენ „წითლების'' წარმომადგენელთა ასალაგმავათ და ჩასაჩუმებლათ.

1914 წელს ომის გამოცხადების წინ რამდენიმე თვით ადრე, გაზაფხულზე ხომ თავი ისახელეს დუმის დარბაზიდან ს. დ. და ტრუდოვიკების გაძევების საქმეში დახმარებით; კიდევ უფრო მეტი: ომის გამოცხადების წინ სულ რაღაც ორიოდე კვირით ადრე პეტროგრადში გაფიცულ მუშების სისხლის დაღვრის გამო ,,კრინტიც'' არ დაუძრავთ!

აი ,,დადუმება'' და დადამბლავებაც ამას ჰქვია!.. . . . . .

მაგრამ დადგა 1914 წლის 19 ივლისი, გამოცხადდა ომი, გავარდა ზარბაზანი და ეს ჩვენი „დადუმებულნი'' და დამუშავებული ზეზე წამოიჭრენ, მხედარის პოზა მიიღეს და საშინლათ... „ალაპარაკდენ," ,,ახმაურდენ''!.

ამას მოწმობენ მთელი რუსეთის ყველა გაზეთების ფურცლები! მუშათა გაზეთი წინადღითვე ჩაახრჩვეს და ამიტომ დისონანსიც არსაიდან ისმოდა: ყველა ერთ ჰანგზე მღეროდა და სიმღერა იგი შემდეგი იყო: სლავიანური მოდგმის ხალხებში პირველი ადგილი რუსის ხალხს უკავია, მან შექმნა დიდი იმპერია და იგი უნდა ხელმძღვანელობდეს და პატრონობდეს დანარჩენ სლავიანურ ხალხებს; ამ გზაზე მას წინ ეღობება ტევტონთა მოდგმის ხალხი—ნემცები; აქედან ჩვენი უპირველესი მტერი, ჩვენი მოსისხლე ერი, ეს გერმანელებია. ჰკა მაგათ, არ დაინდოთ ნემცები: იგი ტევტონია, მხეცია, ,,უკულტურო'' და მტარვალია! რუსების მტარვალია, ამიტომ ტყვია და ხმალი მაგათ წინაალმდეგ! რუსის არმიამ უნდა გადალახოს პრუსიის საზღვარი, უნდა შემუსროს გერმანიის ლაშქარი, შევიდეს ძლევამოსილი ბერლინში და ამნაირათ გათამამებულ გერმანიის ,,მილიტარიზმს'' ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს და გასაჭირისგან იხსნას მთელი ევროპა!

რუსეთის არმია და მისი ხელმძღვანელ-უფროსები, აი ვინ გამოაცხადეს მათ მაშინ ქვეყნის და კაცობრიობის მხსნელებათ! უძლეველი რუსეთის არმია, ვაჟკაცობით და ქვეყნისთვის თავდადებით სახელგანთქმული, „სათაყვანებელი რუსის კაზაკი"! რუსეთისთვის თავგანწირული სომეხი და „უშიშარი" მოძმე ებრაელი! აი რა ვითომდა „გულწრფელი" სიტყვები ისმოდა წამდაუწუმ ყოველ მხრიდან მათ ბაგეთაგან. მათმა ქცევა-ყვირილმა პურიშკევიჩიც კი გაიტაცა და ის იყო იგი 26 ივლისს დუმაში მოძმე ებრაელთ გადაეხვია და „ამბორ უყო".

დუმის 26 ივლისის სხდომა ერთიანი ზეიმი და დღეობა იყო ბრძოლას და ომს მოწყურებულ „საზოგადოებისა" და მისი მთავრობისა. მთავრობა ამ დღეს ბელადი მასპინძელი იყო, ხოლო „საზოგადოება" კი მისი სტუმარი და მადლეგრძელებელი. ყველაფრიდან აღმოჩნდა, რომ ეს „საზოგადოება" „ძველ ძალას" ნდობას უცხადებდა: „ოპოზიციონერობას" ადგილი აღარსად აღარ ჰქონდა. დუმის ტრიბუნიდან ერთგვარი ფორმულა ისმოდა: ყველა „გაერთიანებას" მოითხოვდა, ყველა ფრაქციებს „ერთობა" სწამდათ. დეპუტატი კერენსკიც ვერ აცდა მაშინ ამ საერთო ღადადის გავლენას და მანაც გამოაცხადა: „ჯერ ბრძოლის ველზე არმიის წინამძღოლობით გამარჯვება, შემდეგ კი შინაური ცხოვრების მოწყობა, საჭირო ძირითადი რეფორმის შემოღებაო." მართალია რუსეთის პროლეტარიატი ამ დროს ჩაჩუმებული, ალაგმული ყავდათ, მარა სამაგიეროთ დუმაში ისევ ცოცხლობდა ნაშთი მისი წარმომადგენლის ძლიერის ფრაქციისა და აი მხოლოთ ერთად-ერთი ძალა აღმოჩნდა, რომელმაც ხმა აღიმაღლა და პირდაპირ, გულგაუტეხელათ და გაბედულათ აღიარა, რომ რუსეთი უკანჩამორჩენილი ქვეყანაა: შინ მოუწყობელი, ის გარეთაც სუსტი აღმოჩნდება. ძლიერ, შეუპოვარ მტერს ძლიერი და შეუპოვარი დამხვდური გაუმკლავდება, ხოლო ეს სიძლიერე და შეუპოვრობა ერთ სულობა რუსეთს შინაური ცხოვრების მოწესრიგებით და მოწყობით შეუძლია მოიპოვოს; მარა ეს მანამდე არ მოხდება, ვიდრე რუსეთის ცხოვრებას სათავეში „ძველი ძალა" უდგას; აქედან აუცილებელი ხდება **ჯერ „ძველი ძალის" ჩამოშორება, მერე მტრის განდევნა.** ეს ითქვა 1914 წლის 26 ივლისს სახლ. დუმაში სოციალდემოკრატიულ ფრაქციის მიერ და ახლა ანი გვარწმუნებს, რომ პირველათ ოპპოზიციონურმა ბურჟუაზიამ განაცხადა, „ძველი ძალა" ქვეყანას ვერ იცავსო.

ოპოზიცია ამას მხოლოთ 1915 წლის 19 ივლისის დუმის სხდომაზე ძლივს მიხვდა და სოციალდემოკრატიას ამ მუხლში თანხმობა გამოუცხადა. დავა მოლოდ „ძალთა გაერთიანების" საკითხმა გამოიწვია. პავლე მილიუკოვი, თუ წინათ რუსეთის არმიის ქება-დიდებით და ხოტბით ყურებს გვიჭედავდა, ამ დღეს სახელმწიფოს წყობილების შეცვლის მთელ გეგმას გვითვალისწინებდა და ყველას არწმუნებდა, რომ ვიდრე რუსეთი „რეფორმებს" არ მოახდენს, მანამ გამარჯვებას ვერ ეღირსებაო. გუშინდელი: „ჯერ გამარჯვება, მერე რეფორმა", ახლა სულ შეაბრუნეს და ასე გაიძახოდენ: „ჯერ რეფორმა, მერე გამარჯვებაო"! როგორც ხედავთ ეს მთელი ტაქტიკის და ლოზუნგის ძირიანათ შეცვლაა. ამის მსგავსს ლოზუნგს ხომ, როგორც ზემოთა ვთქვით, სოციალდემოკრატიული ფრაქცია ახადებდა! მაგრამ ოპოზიციამ მაშინ ეს დაჰგმო და ყური არ ათხოვა, ახლა კი გონს მოვიდა და თითქმის იმავე ლოზუნგს ისტერიულათ იმორებს: „ჯერ რეფორმა, მერე გამარჯვება, ჯერ რეფორმა, მერე გამარჯვებაო"! რამ მოახდინა ეს სასწაული, რამ მოიყვანა „ჭკუაზე" რუსეთის ოპოზიციონური ბურჟუაზია?

მხოლოთ სამხედრო „კატასტროფამ". მხოლოთ ამას და ამის მსგავსს მოვლენას შეეძლო მისი „მოჭკვიანება", მისი ოპოზიციონურ გზაზე დაყენება.

აკი 1905 წელს იგი ერთ გვარმა საზოგადოებრივმა „კატასტროფის მოახლოვებამ გააოპპოზიციონირა!

როგორც ხედავთ ბურჟუაზიას საზოგადოთ „კატასტროფა" ოპპოზიციონერებს, მაგრამ, როგორც ვიცით, „კატასტროფაც" არის და „კატასტროფაც" ახლანდელმა სამხედრო „კატასტროფამაც" გააოპოზიციონერა ის და 1905 წლის საზოგადოებრივმა „კატასტროფამაც" და ამ ორ სხვა და სხვა დროს ოპოზიციონერობას შორის ყოველივე განსხვავება რაიცა ამ წერილს პირველ თავში აღვნიშნე, გამომდინარეობს ამ განსხვავებიდან, რაც სამხედრო „კატასტროფისა" და საზოგადოებრივს-შორის სუფევს.

რა განსხვავებაა ამ ორ გვარ „კატასტროფას" შორის?

— დიდი—ძალიან დიდი განსხვავებაა!

მაგრამ ამაზე შემდეგ. **დახელი.**

ქართული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ეროვნულ თავისუფლების დაცვისათვის, შეეძლო გაეშალა თავისი შემოქმედებითი ძალა და ნიჭის თავის მფარველ რუსეთის მთლიანობისა და გაძლიერების სასარგებლოთ, რომ მას მინიჭებოდა უფლება თავისუფლათ განვითარებისა და დაეკმაყოფილებინა თავისი ეროვნული მოთხოვნილებანი ფართო ადგილობრივ პოლიტიკური თვითმართველობის საშუალებით. საქართველო, თავის მოძმე რუსეთის ხალხთან ერთად, რომლებსაც სურთ თავისი ღვიძლი შვილების სიცოცხლის შეწირვით მოუპოვონ ერებს თავისუფლება, არც მომავალში დაზოგავს მსხვერპლს საერთო სამშობლო რუსეთის სახელისათვის.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, ქალაქის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო,

✦ პარასკევს, 18 სექტემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართა წარმოდგენა გრიგოლ ჩარკვიანის რეჟისორობით. წარმოიდგინეს სამ მოქმედებიანი პიესა „ლეკის ქალი გულჯავარ“ და ვ. ბალანჩივაძის „კუდიანი ვარსკვლავი“, საზოგადოება ბლომათ დაესწრო, წარმოდგენამ საზოგადოთ სუსტათ ჩაიარა.

✦ ორშაბათს, 21 ენკენისთვეს დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.

✦ საფიჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს, სტ. ნიკოლოზ აბესაძემ გამოუწერა ერთი წლით გაზ. „თანამედროვე აზრი“. სამკითხველოს მოსდის აგრეთვე მრავალი წიგნი, სხვა და სხვა პირისაგან შემოწირული.

✦ ს. ბახვის (ოზურგეთის მაზრა) საზოგადოების შუამდგომლობა, რომ იქ დაარსებულიყო უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა არ დააკმაყოფილა.

✦ ს ფარცხენის საზოგადოებამ (ოზ. მაზრ.) მეორეთ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა შეაჩერონ [illegible] სესხის სახით დარიგებული სიმინდის სა[illegible] პურის გადახდევინება.

✦ 18 ენკენისთვეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დავით ოტიასძე ნიჟარაძე წარუდგა მეფის მოადგილის თანაშემწეს გენ. იანუშკევიჩს.

✦ ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრის წინამძღოლები გაემგზავრენ თბილისს მეფის მოადგილის დასახვედრათ.

✦ როგორც გვწერენ მულახის საზოგადოების (ლეჩ. მაზრა) ტყეში კერძო ინტერესით მოუკლავთ გლეხის ქალი, დინოლა გულბანი, ბოროტ მოქმედი ჯერ არ შეუპყრიათ.

✦ წვრილი კრედიტის ინსპექტორმა გ. ჯაფარიძემ აღუთქვა, რწმუნებულ ბ. გიორ. როინიშვილის, რომ ახლო მომავალში დაამტკიცებენ მანდიკორის (ქუთ. მაზ.) წვრილი კრედიტის ამხანაგობის წესდებას.

✦ ადგილობრივ ლაზარეთის უფროსი ექიმი, სთხოვს ქალაქის გამგეობას შეატყობინოს მას ქალაქში ყოველივე სანოვაგეზე არსებული ნიხრი.

✦ მეოთხე სამხედრო სანიტარული რაზმის უფროსი მიმართავს ქალაქის გამგეობას შეატყობინოს ამ თვის ბოლომდის რა და რა ნიხრი იქნება სანოვაგეზე. ასეთივე თხოვნით მიმართა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამგეს.

✦ გუშინდწინდელი ჩვენი გაზეთის ქრონიკაში შეცდომით იყო მოთავსებული, რომ ქუთაისის ვაჭრებს სულ ქონიათ 2000 ფ. შაქარი. უნდა იყოს—9168 ფ. შაქარი.

✦ გუშინ ქუთაისის ვაჭარს ნიკიფორე ჯანელიძეს ნება მისცეს, ამას წინათ დაბეჭდილი შაქრის გაყიდვისა. ბ. ჯანელიძე დამტვრეულ შაქარს ყიდის 21 კ. გირვანქას; თავ შაქარს 19 კ. და ფხვნილს 17 კაპ.

✦ „სევერნი ნომრების“ გვერდით დამალული შაქრის პატრონი იოსებ კავჟარაძე აღმოჩნდა.

✦ გუშინ ვარლამ ქორქოლაძემ მიიღო 100 ფუთი ნატეხი და 200 ფუთი ფხვნილი შაქარი, რომელსაც ზომიერ ფასებში ყიდის.

✦ ორშაბათს, 21 სექტ. დანიშნულია ქუთაისის მაზრის სამხედრო ბეგარის სამმართველოს კომისია ომში დაჭრილ სათადარიგო ჯარის კაცების შესამოწმებლათ.

✦ ჩვენ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთის“ მორიგი მე-14-ე №. გაზეთში ბევრი საყურადღებო წერილებია მოთავსებული.

სიმცირე.

იფეთქა საერთაშორისო ომმა თუ არა, გაძვირდა ცხოვრება, შესწყდა მრავალ ფაბრიკა—ქარხანაში მუშაობა, ნორმალური მიმოსვლა და ამასთან მოჰყვა სხვა და სხვა საქონლის თუ სანოვაგის უქონლობა და სიმცირე ამა თუ იმ ადგილას. გაძვირდა ერთი ხუთად ყველაფერი. საშინლად აიწია ყოველივე საქონელ—სანოვაგეზე, ხელოვნურად თუ ბუნებრივად, ფასებმა და საგონებელში ჩააგდო ხელმოკლე მომხმარებელი.

ამ საერთო გაჭირვებას ვერც მოწაფე ახალ-გაზრდობა ჩამოურჩა, ისიც დაღ დასმული დარჩა. მაგალითად, წელს საშინელი ძვირია მოწაფისათვის საჭირო ნივთები რვეული, რომელიც უწინ ორი, ერთი შაური იყო, წელს ერთი ცალი 6—7 კაპიკია. აგრე წოდებული „ფაბერის“ კარანდაში, რომელიც უწინ სამი კაპ. ღირდა ახლა ორი შაურია და სხ. აგრეთვე სახელმძღვანელო წიგნების ფასებმაც მოიმატა და ყოვლად შეუძლებელი ხდება, არა თუ ახლა, არამედ მშვიდობიანობის დროსაც კი, რომ ხელმოკლე მოწაფემ (უმეტესი კლასისამ მაინც) ყველა საგანში ახალ-ახალი სახელმძღვანელო შეიძინოს. ამიტომ ის ცდილობს ნახმარი წიგნები შეიძინოს რომლის ყიდვაც გაცილებით უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე ახლისა. ქუთაისში ერთი ასეთი ძველი წიგნების მაღაზია თეთრ ხიდთან არის, „პროვინციალ“ წოდებული. ეს ვაჭბატონი ამ ნახმარ წიგნებს თვითონ მოწაფეებისაგან ყიდულობს. რაც უნდა ახალი და სუფთა წიგნი მიუტანოთ გეტყვისთ, რომ, ახლა „სეზონი“ არ არის და შემოგაძლევსთ მის მეხუთედ, მეექვსედ ფასს რაც რომ ახალში მიგიცია. მაგალითად, ორ მანეთიანი წიგნი რომ მიუტანოთ, რაც უნდა კარგად შენახული იყოს, დიდი გაჭირვებით ორს აბაზს გაიმეტებს. ასეთ მუქთად ნაყიდ წიგნს, თუგინდ შენვე (გამყიდველი) მეორე საათში მიხვიდე, დიდი მადლობა უნდა გადაუხადო, რომ მანეთ ნახევრად მოგყიდოს. ნუ თუ საკმარისი არ არის, რომ ორ აბაზს თუგინდ ერთი იმდენი მოაგებინოს და მით თვითონაც ისარგებლოს, და ხელმოკლე მოწაფესაც საშუალება მისცეს საჭირო წიგნების შეძენისა?

ანგარებამ იმდენათ არ უნდა დაიუფლოს კაცის პიროვნება, რომ ყველაზე უსაჭიროესი საუნჯე კაცისათვის დაჰკარგოს, თორემ ყოვლად შეუძლებელი გახდება მისთვის ავ-კარგის გარჩევა ერთმანეთისაგან.

ბ—ი.

პროვინციის ცხოვრება.

ს. გოჩაჯიხაიში. ბუნებას ეს სოფელი უხვად დაუჯილდოვებია. აქაური მიწის ნიადაგი პოხიერია, და ჰავა ჯანმრთელობისათვის მარგებელი. ჩვენი უხვი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, აწ უკვე განსვენებული ნიკო ღოღობერიძე, ამ სოფლის ღვიძლი შვილი იყო. ამ ჩვენი ქვეყნის მეცენატს, არც თავის სამშობლო სოფელი დაუტოვებია უყურადღებოთ; რამოდენიმე ათასი მანეთი უანდერძებია თავის სოფლის წიგნთ-საცავ სამკითხველოსათვის, თუმცა, განსვენებულის აზრსა და სურვილს, განათლების ამ დარგის შესახებ, დღემდის ხორცი ვერ შეუსხამს.

კოპწია და ლამაზ შენობაში, იქვე ეკლესიის გვერდით, მოთავსებულია ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და წვრილი კრედიტის ამხანაგობა. სასწავლებელს ერთგული და გამოცდილი ხელმძღვანელის ბეჭედი აზის. ეკლესია და მისი გალავანიც არ არის მზრუნველობას მოკლებული, სასაფლაო შემოკავებულია, და სუფთათ არის დაცული. სკოლას ხელსაქნარის მასწავლებელი ქალიც ჰყავს, და ბავშვების რიცხვი სკოლაში ზომაზე მეტია. ზემო იმერეთის სკოლებში ქალიშვილების რიცხვი შედარებით ნაკლებია და ამ მხრით გოჩაჯიხაიშის სკოლამ დიდათ გამახარა, მოსწავლე გოგონების რიცხვი ორმოცამდე დავითვალე, რაც ჩვენი ხალხის შეგნებას და გამოფხიზლებას მოასწავებს. მკვიდრთა შორის, აქ ცაგარეიშვილებს პირველი ადგილი უკავიათ. ამ გვარიდან ბევრი სასულიერო პირია. აქაური ჩვენი დიდათ პატივცემული დეკანოზი მ. გაბრიელ ცაგარეიშვილი, ვუსურვებთ, რომ გოჩაჯიხაიშის მოწინავე საზოგადოებას, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში არიან გაფანტული, თავის კოპწია და ლამაზი სოფლის კულტურული წარმატებისათვის ეზრუნოს.

მ. ბუაჩიძე.

პასუხი.

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 178)

მასწავ. ვარლამ დავითის ძე ძიძიგურს.

ახლა კომისიას შევეხოთ. ჩვენ გეკითხებოდით, ბ. ძიძიგური, რომ მართლა უწესოთ გაანაწილა კომისიამ ფულები და მშიერების მაგიერ მაძღრებს მისცათ-ქო? თქვენ გვიპასუხებთ: მართალია დახმარება ზოგიერთმა არა მშიერმა მიიღო და ნამდვილი მშიერი კი უშწეოთ დარჩა, მარა ეს კომისიის ბრალი არ არის, ის უკოდველია. ფიცი გვწამს, ბოლო მაკვირებს. თუ თქვენ დაგიჯერებთ, ამაში ბრალი სავლეხო კომიტეტს ედება, რომელსაც დამტკიცებული სია ქონებია, ნამდვილად კი საქმე ასე იყო: დამშეულ გლეხების სია ჯერ კომისიამ შეადგინა და მერე მიუვიდა სავლეხო კომიტეტს; როგორც თქვენვე ბლიარებთ, დახმარება შემლებულებსაც მიუღიათ, ასე რომ კომისიას მშივრების მაგიერ მაძღრებიც ჩაუწერია სიაში და ამ ნაირათ ბოროტმოქმედება ჩაუდენია. ალბათ ამ დროს ქრთამსაც ექნებოდა ადგილი. სინამდვილე ასეთია, თქვენ კი ისე აშუქებთ საქმეს, თითქოს სავლეხო კომიტეტს დამშეულ გლეხების სია ციდან ჩამოვარდნოდეს და არა კომისიისაგან მიეღოს. მარა კომისიას მეორე ბოროტებაც ჩაუდენია—გასამრჯელო 27 მანეთი წაულია (თქვენი ანგარიშით). მერე ქონდათ ამისი უფლება? ან რაში დახარჯეს ეს ფულები? ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ამის უფლება მას არ ჰქონებია, არც რაიმე ხარჯი უნახავთ და ეს ფულები ტყვილად ასწავნეს დამშეულებს. რისთვის წაიღო მამასახლისმა 12 მანეთ ნახევარი, მწერალმა 3 მ. 50 კ., თანაშემწეებმა 4 მანეთი? მწერალს დანიშნული ჯამაგირი აქვს, სხვებს კი უსასყიდლოთ უნდა ემსახურებოდეს ხალხს. მაგრამ როგორც ჩანს აქ ყველამ მოითბო ხელი, ყველამ ირგო თავისი ლუკმა. დააკვირდით კარგათ: სოფელს ჰყავს თავისი ყვავ-ყორნები. ესენი არიან მწერალი, მამასახლისი, მისი თანაშემწენი, სოფლის წურბლები და სხვა ასეთი. როცა ყველამ ამათ გაიგეს, რომ ფული რიგდება საზოგადოებაში, ნერწყვი მოუვიდათ და ენები ააწლაკუნეს ნეტავი რამე მოგვადგებოდა პირშიო. მიზანსაც მიაღწიეს: მშივრების ნაცვლათ ზოგიერთი მაძღრებიც ღებულობდენ დახმარებას, კომისიის წევრები ხუთ-ხუთ მ. იღებენ, ჯიბეში მამასახლისი 12 მ. 50 კ., ისე მწერალი და სხვა. ერთი სიტყვით ყველამ ირგო თითო ორი ლუკმა რაღაცა, მარა ვაი თუ ვინმესთვის ეს არც ისე ადვილი მოსანელებელი დარჩეს და ყელში გაეჩხიროს იგი. ბ. ძიძიგური, უნდა იცოდეთ, რომ თქვენთან ერთად ყველა ამ-თ საბუთებით უნდა გაამართლონ გაწეული ხარჯები და სწორი ანგარიში უნდა წარმოუდგინონ, თორემ ჩვენ შეიძლება სხვა გზას მივმართოთ ჭეშმარიტების აღსადგენათ. მაშ მალე გამოაქვეყნეთ გაზეთის საშუალებით სწორი ცნობები.

ხ. ნელი მასწავლებელი.

ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომიულ ორგანიზაციის საჩვენებელ მინდორთა და აგრონომიულ დახმარების ადგილთა

სია.

(გაგრძელება. იხ. „სამშობლო“ № 179).

II რაიონი—შორაპნის მაზრა.

(აგრონ. გედევანიშვილი—ზესტაფონი).

საჩვენებელი მინდვრები. საჩვენებელი ნათესი პურისა.

სოფ. თერჯოლაში, მაქსიმე დოლიძესთან, ცხრა-წყაროში, ივანე გუნიავასთან.

საჩვენებელი ნათესი სიმინდისა.

სოფ. დაბლაში, ირაკლი ჭიჭინაძესთან, თერჯოლაში მ. დალაქიძესთან, ქორეთში ილიკო და დომენტი შარვაძესთან (სამყურა—клеверъ),- გვაგითში სვიმ. კუპრაშვილთან, ყვირილის დაბა, გიორგი გურულთან, დაბა ზესტაფონში მიხ. სულაქველიძესთან, სოფ. ზედა საქარაში სილიბისტრო მსუქნიძესთან, ქვედა საქარაში. სვიმ. ნებიერიძესთან.

ვენახების საჩვენებელი წამლობა.

სოფ. თერჯოლაში ვენახი მაქ. მაჭარაძის, მეჯუხარელაში სარდ. ჭუმბურიძის, დაბა ზესტაფონში სოლომონ ვეფხვაძის, სოფელ საქაროში ციცინა ნებიერიძის და ნიკოლ. ცინაძის, კიცხში ეფრემ გიორგაძის, ალავერდაში სერგო გოგოლიძის, ქვემო თავჯაში ძმებ ცინცაძეების, სკანდეში ძმ. ნემსაძეების, ცირკვალში გიორგი მიროტაძის. ვაშლიეთში ისაკო ბარბაქაძის, შროშაში პორფილე გველესიანის, ხრეითში დავით გოცაძის, ფარცხნალში ტრიფონ ჭიპაშვილის, ბაზალეთში ალექსანდრე ნანეტაშვილის, ზორცხილათში ტარასი გამეზარდაშვილის, სარეკში როსტომ ვეტელაძის, ფუთში მიხეილ ჭიჭინაძის, დვრინში მიხეილ და ალექსანდრე კვანტრიშვილის, ქალაში მიხეილ ხვედელიძის.

III რაიონი—ქუთაისის მაზრა.

(აგრონომი ვ. ფალავანდიშვილი—ქუთაისი).

საჩვენებელი ნათესი სიმინდი.

სოფ. გეგუთში პარმენ მაჩალაძესთან, წყალტუბოში გიგო აფხაზთან, კურსებში კოსტანტ. მიხ. ბერეჟიშვილთან, სირში ისე ჩხვიმესთან, როდინაულში დავით ზიბზიბაძესთან, ობჩაში ივანე ჩხეიძესთან, დიმში ალექსანდრე ბურჯანაძესთან, გეგუთში პარმენ მაჩალაძესთან (პური), გეგუთში პარმენ მაჩალაძესთან (იონჯა), კურსებში კოსტ. მიხ. ბერეჟიშვილთან (იონჯა).

ვენახების საჩვენებელი წამლობა.

სოფ. გუმათში ერასტი ასათიანის, ფარცხანაყანებში სიმ. ფხაკაძის, მაღლაკში ერასტი ნიჟარაძის, დიდი-ჯიხაიშში ალექს. დევიძის, და ალექსი ხარაბაძის, ხორჩანაში სამსონ გიორგის ძე ყიფიანის, ანტორიაში ლ. სანდოხაძის, გურნაში მეთოდე გაბაშაძის. ნაქვაში აკაკი ნიშნიანიძის, ხრესილში იბრალიძის ქვრივის, დიმში ბენიამინ ბუცხრიკიძის, როდინაულში დავით ზიბზიბაძის, სვირში იასე ჩხოიძის, ობჩაში პარმენ შვილდაძის.

საჩვენებ. ბოსტნები.

ქალ. ქუთაისში ი. დავითიშვილთან, სოფ. ვაკის-უბანი, ქვიტ საზ. ერმალოზ რევიშვილთან,

საჩვენებელი აბრეშუმის ჭიის გამოკვება.

სოფელ ფარცხანაყანებში მაქსიმე ფხაკაძის ქვრივთან.

შემდეგი იქნება.

„დამალული შაქრის გამო.“

ბ-ნო რედაქტორო, თქვენი გაზეთის № 178 ქრონიკაში მოთავსებულია ცნობა, ვითომც ჩემთვის დამალული შაქარი 400 ფუთი აღმოეჩინოსთ ბოქაულს ავალიანს და ზედამხედველის თანაშემწეს კორძაიას, ამგვარივე ცნობა არის მოთავსებული „კუტაისკაია ვესტის“ ქრონიკაშიც, ამის გამო ნება გვიბოძეთ მოგახსენოთ შემდეგი: ცნობა დ. ქებაძეს შაქარი აღმოუჩინესო მართალი არ არის! მით უფრო რომ მე ქუთაისის ვაჭრები გადავიმტერე, რადგანაც მათ მოსვენებას არ ვაძლევდი და კრიჭაში ვუდექი რამდენათაც შემეძლო; როგორც საქმით, ისე პრესის საშუალებით [illegible] მათ საქციელს. სამაგიეროთ დღეს ქუთაისის ორივე გაზეთის „ქრონიკორები“ ჩირქს მცხებენ ამ ყალბი ცნობის მოთავსებით, ვითომც მე შაქარი დამემალოს. შაქარი მე არ დამიმალია, პირ იქით; ამავე გაზეთის საშუალებით ვამცნე ქუთაისის საზოგადოებას ჩემ მიერ შაქრის მიღება და არც-ერთ მომხმარებლისთვის უარი არ მით-

ქვამ[illegible]
მიე[illegible]
და[illegible]
ხო[illegible]
[illegible]
50 [illegible]
რომ [illegible]
ბრალ[illegible]
წინაა[illegible]
დატო[illegible]
ბაბ. [illegible]
მორლუბა, [illegible]
ხრა დამა[illegible]
მისულა ვ[illegible]
არ მიმეცეს [illegible]

წერილი რე[illegible]ს მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! [illegible] გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

ღია ბარათი ბ-ონ გიორგი დავითის ძე წულუკიძეს.

ბ-ნო გიორგი დავითის ძევ! თქვენ მოგეხსენებათ, რომ 1910 წელს, (აწ გარდაცვალებულმა) ვარდენ მეძმარიშვილმა ქუთაისში ექიმ ვლადიმერ [illegible] დასახსნელად 360 მანეთიანი ვექსილი ხელმოწერილი მისი ძმის ეგნატისაგან [illegible] მოხსხოვა მას, ვლადიმერ [illegible] ვექსილის დახსნა. ამ საქმის გამო მე მიმცეს პასუხის გებაში და ქუთაისის საოლქო სასამართლომ კიდეც მომისაჯა 2 წლის გამასწორებელი რაზმში [illegible] ნი ყოვლადვე პატიოსანი [illegible] კარგათ იცით, იცით ისიც [illegible] დღეიდან, თუ ხიდან [illegible] ხელში ვარდენ მეძმარიშვილმა [illegible] ლი ვექსილი, ამიტომ [illegible] დადება მოგცეთ გამომეყვანა **სასამართლოში**. [illegible] სამართლიან მოთხოვნილებ[illegible] იმ შემთხვევაში იძულებული [illegible] საშუალებით ყოველივე [illegible] დავნო ზემოხსენებულ ვექ[illegible]

ჩემის (შეიძლება) შეძლებ[illegible] ვექილის თანაშემწეს დრ[illegible] გ. გრიგოლის. ამ წერილის [illegible] დღიდან ერთი კვირის განმავლობაში [illegible] დანიშნეთ თქვენ თქვენი [illegible]

დავით ლულაძე.

ჩვენი ფოსტა.

აჭ. დ. ლულაძეს. თქვენ, მეორე წერილით მიმართეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციას, რადგანაც, ამ რედაქციას დაუბეჭდია თქვენი პირველი წერილი.

ოზურგეთი. დომენტი თალაკვაძეს. დღეს გამოგიგზავნეთ დაბრუნებული წერილი 1914 წ. ივლისის კანონის შესახებ.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის მაია—მათე ყაჩაღათ [illegible]
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში
მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრესტომატია:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“.
შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით თ. მ. ბახტაძე.

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი
ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოებები და სხვ. და სხვ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.